## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

## ბრძანება №31
## 2021 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

### „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 29.07.2016, 010240060.57.069.016092) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“:

**1. მე-6 მუხლის მე-11-მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„11. შესყიდვის ობიექტის ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენისთანავე, ხოლო თუ ტენდერში არ მოითხოვება შესყიდვის ობიექტის ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა – საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენისთანავე, სატენდერო კომისია ამ პრეტენდენტს ავლენს გამარჯვებულად და მიმართავს მას სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის მოთხოვნით (ასეთი მოთხოვნის არსებობისას).

12. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენისთანავე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში მოთხოვნილია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა – სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენისთანავე, სატენდერო კომისია, დადგენილი წესით, იწვევს გამარჯვებულ პრეტენდენტს ხელშეკრულების გასაფორმებლად.“.

**2. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) იგი არ წარმოადგენს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ს ან/და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემები ან/და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი არ შეესაბამება სატენდერო პირობებს (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 1 სექტემბრიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე — ლევან რაზმაძე